№ 271 დეკემბერი 24, ხუთშაბათი | 1887 | დეკემბერი 24 ხუთშაბათი № 271

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი | საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი | 1877--1887 წელიწადი

## „ივერია"

გამოვა 1888 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1888 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში ა) თვითონ რედაქციას (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.), ბ) ლ. ბ. ხიდეკელის გაზეთის სააგენტოს (გოლოვინ. პროსპექტი, გიმნაზიის პირდაპირ). გ) „წერა-კითხვის საზოგადოების" კანცელარიას (სასახლის ქუჩა, სახლი დ. სარაჯიშვილისა, ეზოშივე.)

ქუთაისში: ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ"

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## ახალი ამბავი

⁂ 22 დეკემბერს ქართულმა დასმა წარმოადგინა „თამარ-ცბიერი" და „ოინბაზი". საზოგადოდ არტისტებმა კარგად შეასრულეს თავიანთი როლები „თამარ-ცბიერში". ცნობილ არტისტების თამაშობა ადრინდელივე იყო. ახალ მოთამაშეთა შორის მიიქცია საზოგადოების ყურადღება ბ-ნმა ხუციშვილმა, რომელიც ძლიერ კარგი იყო ხუმარას როლში. ვოდევილმა მეტად მხიარულად ჩაიარა. მაყურებელნი ვეღარ იჭერდნენ სიცილსა, რის გამოც თითქმის ნახევარი არ ისმოდა ბ-ნ აბაშიძის ნათქვამისა. საზოგადოება ნაკლებად დაესწრო ამ სალამოსა.

უნდა შევნიშნოთ დრამატიულ კომიტეტსა, რომ ბ-ნ ხუციშვილისათვის ვოდევილში როლი აღარ უნდა მიეცათ, იმიტომ-რომ ახალი არტისტია და ორის როლის დასწავლა და მომზადება ძნელია. ვოდევილში ხუციშვილმა როლი სუსტად იცოდა, მიხვრა მოხვრა უხერხული ჰქონდა და საზოგადოდ გარეგანი შეხედულება, ფიგურა ამ არტისტისა არ შეეფერებოდა როლსა.

⁂ მესამე ქართული წარმოდგენა იქნება სამშაბათს, 29 დეკემბერს, და ითამაშებენ ფრანგულიდამ გადმოღებულს დრამას დენნერისას — „ორი ობოლი". ეს პიესა თუმცა ძლიერ მოსწონდა საზოგადოებას, მაგრამ დიდი ხანია არა ყოფილა წარმოდგენილი ქართულს სცენაზე, ადრინდელ არწრუნისეულ თეატრის სცენის სიმცირისა გამო. უმთავრეს როლებს ასრულებენ ქქ-ნები გაბუნია-ცაგარლისა, საფაროვი-აბაშიძისა, ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი და სხვანი.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ დღესასწაულების შემდეგ დრამატიულ საზოგადოების დასი ითამაშებს სარდუს დრამას „სამშობლოს", ბ-ნ კ. ყიფიანის მონაწილეობით.

⁂ გაზეთებში ხშირად იბეჭდება დახურულ ბაზრის (ბაზაზხანა) მოვაჭრეთა თავ-გასულ ქცევაზე. ამას წინად პოლიციელიც დააყენეს წესიერების დასადგენად. ეხლა ისიც აღარა სჩანს და ვაჭრები-კი თავისას არ იშლიან: თუ-კი შეატყეს, რომ ხამი ვინმე მოდის ამ ბაზარში, კალთებზე დაებღაუჭებიან და ერთი აქეთ მიათრევს, მეორე იქით; თუ გაძალიანდება, მაშინ ვაი იმისი ბრალი—ისე გალანძღავენ, რომ მტკვარმა ვეღარ გარეცხოს. გუშინ ერთს საწყალს დედაკაცს დაეჭიდნენ და კაბა შემოაფხრიწეს.

⁂ ბანკის შენობის გალესვა შიგნიდამ და გარედამ აღებული აქვს ერთს მონარდესა და გუშინ 23-ს დეკემბერს ამ მონარდეს ერთი მლესავი მუშა ჩამოვარდა, ხარიხებიდამ ფეხი მოსხლეტოდა. მუშა მაშინვე წაიყვანეს სამკურნალოში და შიში არაფრისა აქვსო, თუმცა-კი საკმაოდ დაჟეჟილა.

⁂ ავლაბარში, სუფრ-მი ნასას ქუჩაზე, ერთი უშველებელი ღელეა, რომელიც პატარა სირაჯხანაში ჩადის. ამ ღელეს წინად ფიცრული ლობე ჰქონია გაელებული, რომელიც ეხლა სრულიად დაშლილა და ფიცრები წაუღიათ. ამის გარდა მთელი ეს ქუჩა საბინძურო ადგილად გადაუქცევიათ და საშინელს სუნს ავრცელებს გარშემო.

⁂ 22 დეკემბერს ავლაბარში, ყაზარმების პირდაპირ, მ—ვის სახლის ბალკონიდამ ჭურჭლის ნარეცხი დაასხეს თავზე ტელეგრაფის ერთს მოხელესა. ეს უკანასკნელი მივიდა კარებთან, უნდოდა გაეგო სახელი და გვარი სახლის პატრონისა, მაგრამ პასუხის მაგიერ გამოუსიეს ვიღაც კინტო და, თუ თავისთვის არ ეშველა, სიგძე-სიგანეს მისცემდა შეურაცხყოფილ კაცსა.

⁂ ჩუღურეთის ყანთრიდამ რომ შეუდგებით არსენალის ქუჩის აღმართს, მარცხნივ არსენალის ვიწრო ქუჩაა. ავდრობას დიდ ქუჩებიდამ ტალახი და წყალი ამ ქუჩაში მოდის და გუბდება, სხვა გასავალი არა აქვს. მცხოვრებნი ძლიერ შეწუხებულნი არიან ამის გამო, კალოშითაც-კი შეუძლებელია გავლა. ამასთანავე ფარანი არა დგას. იქვე მეორე ქუჩაზე დგას ერთი ფარანი, რომელიც მარტო ორ მხარეს ანათებს. ყაირათისა გამო მეორე ნაპირზედ მაინც რომ გადაიტანონ ეს ფარანი, ხსენებულ ვიწრო ქუჩას გაანათებდა.

⁂ გაზ. „Новости"-ს სიტყვით, 21 დეკემბერს პეტერბურგის კეთილშობილთა „სებრანიაში" უნდა გაემართათ კავკასიის საღამო ღარიბ ქართველთა სასარგებლოდ. უნდა ეთამაშნათ ქართული კომედია ბ-ნ ცაგარლისა „ბაიყუში". ცოცხალი სურათები კავკასიის ცხოვრებიდამ უნდა დაედგა პროფესორს ლაგორიოს. სპექტაკლის შემდეგ უნდა ყოფილიყო ლეკური და ევროპიული ცეკვა-თამაში დილის 3 საათამდეო.

## წერილი ქუთაისიდამ

მოაღწია ქუთაისის საბჭოს და გამგეობის განახლების ჟამმა და მესურდნენ მეკანწლეებიც! ქუთაისის გამგეობამ უკვე დაარიგა უწყებები და ამომრჩეველებს იწვევს:—პირველ განყოფილების ხმოსნების ამოსარჩევად—7-ს იანვარს,

## ფელეტონი

### ქართველთა შორის

მოჩვენებაა ყოველივე.—მშვიდობიანი ფილოსოფია.—კაცნი ვართ.—ქუთაისის სემინარია.—რუსული თეატრი.—„მოდი ვნახოთ მაქსის ბჟენჟისია".

იმ დღეს ერთი ხუმარა გაზეთი გვიქაქინებდა—ჯერ ადრეა თქვას კაცმა, ვითომც გურული და იმერელი ქართველები არიანო. ასეთმა სასაცილო სიფრთხილემ ძალიან ბევრი გვაცინა. თუმცა მართალი კია, რომ სიფრთხილეს თავი არა სტკივა და აჩქარებითაც ქვეყანა არავის მოუჭამია, მაგრამ ზოგჯერ ნამეტანი დახანებაც ახირებულობა იქნება. მაგალითად, ეხლა რომ გამოგვიჩნდეს მეორე ხუმარა და დამჯდარის სახით დაგვიწყოს გაფრთხილება—ადრეა კაცმა სთქვას, ვითომც ორი და ორი ოთხიაო, ანუ: ჯერ ადამიანი ვერ იტყვის, ვითომც კაცს პირში ენა აქვსო, ანუ ადამიანს ხელზე ხუთი თითი აბიაო და სხვა ამისთანა ჭეშმარიტებანი,—მოდი და ნუ გაგეცინება ამ გვარ ჭკუა დამჯდარობაზე და ხუმრობად ნუ მიიჩნევ ასეთს გაფრთხილებასა.

თუმცა ისიც-კი უნდა ვთქვათ, რომ ზოგჯერ კაცი ვერ შეატყობს, გეხუმრებიან თუ მართლა გეუბნებიან. ერთხელ ერთი დიდად ღრმა და ბრძენი ფილოსოფოსი საშინლად გაბრაზიანდა, როცა იმისი ნალაპარაკევი ხალხმა ხუმრობად მიიღო. იცით, რას ამბობდა ის ფილოსოფოსი?—კაცი ნამდვილად, გულ-დასმით ვერ იტყვის—ეს ქვეყანა მართლა არის, თუ ჩვენ გველანდება, რასაც-კი ვხედავთ გარშემოო, და ნამდვილად-კი არაფერი არა არსებობს-რა—არც მიწა, არც წყალი, არც ცა თავის მნათობებით, არც ადამიანი, არც მაიმუნი და სხვანი. იმ დროს ამ ფილოსოფოსზე ბევრს იცინოდნენ: უნდა მიიდეს კაცი და ამისთანა ფილოსოფოსს ენა გამოუყოსო. თუ ფილოსოფოსი იწყენს, მაშინ უნდა უთხრას —მე სრულებითაც ენას არ გიყოფ, ეგ მხოლოდ შენი წარმოდგენაა, მოგჩვენებიაო. ან კიდევ: ერთი ორიოდე დღე ეს ფილოსოფოსი ცალკე ოთახში უნდა დაამწყვდიოს კაცმა და მოაკლოს სასმელ-საჭმელიო. თუ დაიწყო ჩივილი პურის უჭმელობაზე და სიმშილ-წყურვილზე, უნდა ანუგეშოს: „ბატონო ფილოსოფოსო, თქვენ სრულებითაც არა გაკლიათ-რა. თქვენი დამშეულობა მხოლოდ წარმოდგენაა თქვენი, სხვა არაფერიო".

როცა ეს მასხარაობა იწყინა ფილოსოფოსმა და უფრო ცხარედ და რწმენით დაიწყო მტკიცება თავის სწავლებისა, მაშინაც უთხრეს შემდეგი: „ბატონო, ტყუილად ცხარობთ. თქვენი სიტყვა ყველას ჭეშმარიტებად მიაჩნია, და თუ წინააღმდეგი რამ შემოგესმენიათ, ეგ თქვენი ყურის მოტყუილებაა, ეგ თქვენ მხოლოდ მოგჩვენებიათ, წარმოგიდგენიათო". ამან უფრო ააპილპილა ჩვენი ფილოსოფოსი. მოდი და თქვი—ის ბრძენი ადამიანი ხუმრობდა, როდესაც ამბობდა, რომ ქვეყანაზე არა არსებობს-რა, და რასაცა ვხედავთ, ეს მარტო ჩვენი წარმოდგენააო. თუ ხუმრობდა, ხომ კიდეც უნდა ამებოდა სხვების მასხარაობა. რადგან იწყინა, ალბად სახუმაროდ არა უთქვამს-რა.

⁂

ეგ რად გინდათ. ერთს ჩემს მეგობარს ჭკუაშიაც დაუჯდა ასეთი ახირებული ფილოსოფოსობა. კაცი ბრძენი უნდა იყოსო,—მეტყოდა ხოლმე ჩემი მეგობარი,—და არ აჰყვეს თავის გრძობასაო. გულის დასამშვიდებლადაც კარგია ასეთი შეხედულობა ქვეყნიერობაზე. ყველანი რომ ასეთის აზრისანი იყვნენ, მაშინ წყენაც აღარ იქნებოდა მიხვედრილ კაცთა შორისაო. მაგალითად, ეხლა რომ მოვიდეს ჩემი მტერი ვინმე და მკრას ერთი ლაზათიანი სილა, მე როგორც კაცმა, უნდა ვიწყინო და ვიტკინო ასეთი შეურაცხყოფა, მაგრამ თუ ამ ფილოსოფიის მიმყოლი ვარ, დავჯდები, მივიდებ შუბლზე თითსა და ვეტყვი ჩემს თავს: დაწყნარდი, შე სულელო, შენთვის სილა არავისაც არ შემოუკრავს, ეგ მხოლოდ შენი საცოდავი წარმოდგენაა-მეთქი. ვეტყოდი ამასა და კიდევაც დავწყნარდებოდი. აგრეთვე კიდევ სხვაშიაცა.

მართალი მოგახსენოთ, ესეთი ფილოსოფია ბევრ სიკეთეს მოგვიტანდა. ვიქნებოდით ჩვენთვის წყნარად და აღუშფოთებლივ. გეხსომებათ, იმ დღეს ბ-ნმა ბახუტოვმა სილა გაარტყა ორს დარბაისელს კაცსა, რადგან ეგონა, რომ უსამართლოდ მოექცნენ და მოატყუეს ერთს იჯარაში. ბ-ნი ბახუტოვი რომ ზემოდ მოყვანილის შეხედულობისა ყოფილიყო, ხომ არც სილას გაარტყავდა პატიოსან კაცებს. ის გულში იტყოდა—ჩემთვის არავისაც არ მოუტყუვებია, ეგ მხოლოდ ჩემი წარმოდგენააო. იტყოდა და დაწყნარდებოდა. ეხლა-კი, როცა იგი უარ-ჰყოფს ამ ფილოსოფიას, ადგა და „მოქმედებით" შეურაცხყოფა მიაყენა თავის მოწინააღმდეგეთ.

ნაცემები-კი უფრო ბრძნულის ხასიათისანი გამომდგარან, თუმცა იქამდის-კი ვერ მიუღწევიათ, რომ ევიქრნათ, ვითომც ბახუტოვს იმათთვის სილა არ შემოუკრავს. ეს დამამშვიდებელი აზრი ვერ მოსვლიათ, მაგრამ მაინც ჭკუა არ წაუგიათ. როცა ბახუტოვი იმათ სცემდა, მაშინ ისინი ღრმა საფიქრებელში ჩაცვივდნენ თურმე—გამოვიღოთ ხელი თუ არაო, ვესროლოთ რევოლვერი, თუ გავჩუმდეთო. ორთავეს გულმა უთხრა—რევოლვერი რომ დასცეთ, ციმბირს ვერ გადურჩებითო. დეე, ისევ გცემოთ ბახუტოვმა და მერე უჩივლეთ მაგასაო.

ასეთი შეხედულობაც კარგია, იმიტომ-რომ, რაც უნდა იყოს, უბედურება ნაკლებად იქნება ქვეყანაზე. მაგრამ ნაცემები რომ უფრო შორს წავიდნენ თავიანთ ფიქრში და დარწმუნდნენ, რომ ბახუტოვს იმათთვის არ უცემნია, რომ ეს მხოლოდ მათი წარმოდგენა, მოჩვენებაა, მაშინ უფრო უკეთესი იქნებოდა, აღარც საჩივარი-ლა გაიმართებოდა, აღარც ნამეტან უსიამოვნება...

⁂

მაგრამ რასა იქთ, კაცნი ვართ და კაცური არა გვეხამუშება-რა. ვისაც რა უნდა, რომ ყველაფერი მიიღოს ქვეყანამ,—ვინ იცის, სად წავიდოდით, მით უმეტესს, როდესაც არ იცი, მართლა გირჩევენ თუ გეხუმრებიან. მეტადრე ძნელია, როდესაც თავში ეჭვი გაგირბენს და არა გჯერა, თუ შენს მრჩეველსა და დამრიგებელს რაიმე სიკეთე ემეტებოდეს შენთვისა. გეუბნება—დაიცადე, ნუ ჩქარობ, ამ თთვისა ჯერ კიდევ ბევრიაო...

ვაი თუ იმიტომ გაცდევინებს, რომ ამასობაში აგიბას თვალები და ქვეშიდამ ხალიჩა გამოგაცალოს. რაკი ასეთი ეჭვი აგეშალა, მაშინ ძალა-უნებურად გაივლი იმ გზაზე-კი არა, რომელსაც განიშნებენ, არამედ სრულებით სხვაგან გადაუხვევ, გამოუყოფ ენასა შენს მრჩეველს და ეტყვი:

> რასაც ქმებ, ვერ ჰპოვებ,—
> გეტყვი წმინდის გულითა—
> ვერა ჰპოვებ, რადგანაც
> ღარიბი ხარ სულითა.

⁂

მეორე განყოფილებისას—11-ს და მესამისაც—14-ს იანვარს.

„შეხურდნენ მეკანჭეებით-თქო“ რომ მოგახსენებთ, ხუმრობა არ გეგონოთ! იმერული გახმობ-გამოხმობა, პატარ-პატარა—ჯერ-ჯერობით—კრებები მეკანჭეებისა, „ბულვარში“ ხმაურობა, ესლანდელის საბჭოს და გამგეობის გაკიცხვა, უფრო ხშირად და იშვიათად ქება, სიტყვით და ხან ჯოხითაც პარტყუა-პურტყუი, საქმეების ბჭობა და კირკიტა, შეწამება, ბრალდება და სხვა ამ გვარები დღეს ქუთაისის ყოველ კუთხეში და ოჯახში გაისმის.

კანდიდატების დასახელება?! მომავალ ხმოსნების სია უკვე ტრიალებს თურმე საზოგადოებაში და მე თუმცა არ ვიცნობ სიის ავტორს, მაგრამ ეტყობა იმის შემდგენელს, რომ ქალაქისათვის მართლა შესტკივა გული. მომავალ საბჭოდამ სიის ავტორს გაუშვებია იმისთანა სულ-დგმულნი, რომელნიც ხმოსნობის დროს მთავრობას თხოვნას უპირობდნენ—ქალაქის თვით-მმართველობა მოესპოთ ქუთაისში და ისევ პოლიციას მიეცათ ხელში; კიდევ იმისთანები, რომელნიც ლაპარაკობდნენ—ხმოსნებად განათლებულ კაცებს, ახალგაზდებს ნუ ამოარჩევთ, თორემ იმათ დაღუპეს ქალაქი! მაგრამ საკვირველნი არიან, უფალო, საქმენი შენნი!! და საკვირველება მოუვიდათ ამ აზრების მლაპარაკეებთაც. იმ დასის მეთაური, რომელიც თვით-მმართველობის მოსპობას ლამობდა ქუთაისში, თავად მოსპეს თვით-მმართველობისათვის—ხმოსნობა ჩამოართვეს და განგებამ ესეც არ აკმარა!—დღეს თუ ხვალ, როგორც სისხლის სამართალში მიცემული, ჯერ ბრალდებულთ სკამზე უნდა წამოსკუპდეს და შემდეგ... ვინ იცის, რა მოელის. მეორე დასის მეთაურიც, რომელიც უარჰყოფდა განათლებას, თუმცა, საწყალი, ერთს დროს „იგიც განმანათლებელი“ ყოფილა ერთს აქაურს სასწავლებელში... საბჭოს ერთს სხდომათაგანზე თავის ამხანაგებმა, უმგზავსო და შეუსაბამო გალანძღვისათვის, ჯერ გაჰკიცხეს და შემდეგ საბჭოს შვიდ მომავალ სხდომისაგან დაითხოვეს. — „შვიდს სხდომაზე ნუ მოგვეკარებიო“—კენჭით უთხრეს იმისმა ამხანაგებმა, და უმთავრესად იმისთანა ამხანაგებმა, რომელთაც იქნება ის დიდი სწავლა და განათლება არ მიუღიათ, მაგრამ იმათი ფასი მაინც ესმით და იციან...

დიახ, მომავალი საბჭო თუ იმ ხმოსნებიდამ შედგა, რომელნიც სიაში არიან დასახელებულნი, დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ ქუთაისი ბევრად მოიგებს და წინ წაიწევს. მაგ., სიაში არის მოხსენებული საუკეთესო ნაწილი ჩვენის ქუთაისის ახალგაზდობისა, აგრეთვე საუკეთესო ნაწილი აქაურ პატივცემულ ვაჭრებისა და მოქალაქეთა, რომლებსაც მართლა შესტკივათ ქალაქისათვის გული და ქალაქის საქმეების ზედ-მიწევნით მცოდნენიც არიან.

ქალაქის გამგეობის—ქალაქის თავის და გამგეობის ერთის წევრის მოადგილისა—მომავალ კანდიდატების სია თუმცა არა ტრიალებს საზოგადოებაში, მაგრამ კანდიდატებს მაინც ასახელებენ. არ შემიძლიან ამ კანდიდატების შესახებ ერთი სასაცილო ამბავი არ გიამბოთ.

ქალაქის თავის მოადგილედ ვისაც ასახელებენ, თქვენ უკვე იცით. ეს ღირსეული კაცი, რაკი დღეს უადგილოდ არის ქუთაისში, ეპირება თურმე აქედამ წასვლას და... რადგან ცოტა „გროშები“ ჰქონია რამდენსამე აქაურს ვაჭარზე გ.. ა.. ბ.. ა.. რ.. ქ.. ბ.. უ.. ლ.. ი, მიუგზავნია ამათთვის კაცი, რომ თუ შეიძლებოდეს, ამა-და-ამ დროსათვის ჩემი „გროშები“ დამიბრუნეთ, რადგან წასვლა მინდა ქუთაისიდამაო. როგორც ამბობენ, ზოგს იმათგანს კარგა მოზრდილი „გროშები“ აბარია თურმე... აბა ეხლა, როდესაც ყველანი უფულობას სტირიან, და მე და შენ ხომ, ჩემო მკითხველო, უფულობას ვტიროდით-კი არა, დავბღავით ცხარე ცრემლით, რა დროს ფულების დაბრუნებაა?! „ეს რა ზარი დაგვცა, იმ დალოცვილმა!“ შეჰბღავლეს თურმე ერთი-ერთმანერთს ზემოხსენებულმა ვაჭრებმა და დახლებზე თავ-დაშვებულნი ჩაფიქრდნენ.—ბევრის ფიქრისა და თავის ტეხის შემდეგ ის გადაწყვიტეს თურმე, რომ წავიდნენ და მოახსენეს მოვალეს: „თქვენი აქედამ წასვლა ყოვლად შეუძლებელი არისო! გთხოვთ მიიღოთ ქალაქის თავობა, და თუ ინებებთ, ეხლავე მთელს ქალაქს მოვიყვანთ შესავედრებლადაო.“

არ ვიცი რა უპასუხა მოვალემ და რამდენად მართალია ეს ამბავი, მაგრამ ამაზე დღეს მთელი ქალაქი ლაპარაკობს და ამ ამ ნაირად მოგვითხრობენ ჩვენებურის კაცის კანდიდატობას.

არა, არა გეწყინოთ გახა, რომ იმერელი ამას მოახერხებდა, ამ ნაირს ოინბაზობას ჩაიდენდა? მე-კი მჯერა-და!..

ამ ხმის გავრცელებისათანავე დაიწყეს ქუთაისში წონ-დაწონვა დღევანდელის ქალაქის თავისა და იმის მომავალ მოადგილესი. „თქვენ ვერ წარმოიდგენთ, ლაპარაკობს პატარა წრეში ერთი მეკანჭეთაგანი,—თუ რა კაცია ბ-ნი კ—ი? რა „საზეინია?!“ ასე გასინჯეთ, პეტრუშკასა და ბუბლიკსაც-კი თავის ხელით ყიდულობს ბაზარში!“

— რასა ბრძანებთ, ბატონებო—იწყებს მეორე—დაუფასებელი კაცია, ერთის სიტყვით! ახლა, რა ფულის ყაირათი იცის და?

ესლანდელის საბჭოს ზოგიერთი ხმოსნათაგანი-კი, რომლებსაც ლაპარაკის საღერღელი აშლილი აქვთ და ყოველსავე უბრალო საქმეზე თითო-ოროლი საათი უთავბოლოდ უნდა ილაპარაკონ ხოლმე, და ამასთან ისიც გაუგონიათ, თუ ამ ახალს კანდიდატს რა ნაირად ეჯავრებოდა მეტიჩარა და უთავბოლოდ მორახარუხე ჩვენებური „ატუნკატები“, ძალიან შიშობენ, რომ თუ ის იქმნა საბჭოს თავ-მჯდომარედ, სალაყბოს კარები დაეხშობათ, ენა ცაში აკრული ექმნებათ წლიდამ-წლამდე...

საკვირველია, რომ ამავე თანამდებობაზე კანდიდატად ჯერ-ჯერობით არავინ ასახელებს იმ ერთს ცნობილს ადამიანს, რომელიც ეს უკანასკნელი ათი წლიწადია თითქმის ყოველთვის ცდილობდა სხვა-და-სხვა აქაურ საზოგადო დაწესებულებაში თავ-მჯდომარეობა ეშოვა. მე მგონია ეს იმიტომ-რომ ეს საპატიო კაცი ეხლა სულ სხვა დარდებით არის გარემოცული... თითქმის 25 წლის სხვა-და-სხვა გვარ სამსახურის შემდეგ იგი თურმე ლამობს დასვენებასა და... „პენსიის გამოკვარახჭინებასა“.

გამგეობის წევრის მოადგილედ ასახელებენ ჯერ-ჯერობით სამს კანდიდატს: ერთს ახლად გარდაცვალებულის აქაურ მემამულის შეძლებულს მემკვიდრეს, ქუთაისში „ვასილ სტეფანიჩად“ ცნობილს... მეორეს ბ-ნს პ-ე... „დეკანოზად“ ცნობილს აგრეთვე ქუთაისში... ამას საკვირველი ოინი უნდა ჩაიდინოსო. ამბობენ, ჯერ ქალაქის თავობაზე უნდა იყაროს კენჭიო და „თუ ამ თანამდებობაზედ გამაშავეს, ისე რავა წავდები, რომ გამგეობის წევრად მაინც არ ამომირჩევენო“. მესამესაც—ბულვრის ხშირს სტუმარს ბ-ნს ბ... „პროცენტოვიჩად“ ცნობილს, რომელიც „ათ შაურს ვიღებო“ ამბობს და არცა წითლდება. „მაშ, როგორ გასარგებლო მამისაგან დატოვებული ორიოდე გროში!..“

ჯერ-ჯერობით ეს კანდიდატები არიან და ძალიან შესაძლებელია, კენჭი და განკითხვის დღე რომ მოაწევს, ბევრს სხვასაც აეშლება საღერღელი...

უეჭველია, რომ საარჩევნო ოინობით აიხსნება ის ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა, რომელიც დღეს ქუთაისში ტრიალებს აქაურის ქალაქის გამგეობაზე.

დღეს ქუთაისში არავინ აღარა ლაპარაკობს იმ ათას მანეთზე, რომელიც ამას წინად აქაურ საურთიერთო ბანკიდგან სადღაც მანქანებით გაჰქრა... ვიღაცამ აწაპნა... და რომელიც ამ ბანკში საზოგადო კრებამ იცნო, თუ არ ვიცი ძალიან აცნობინეს... დაკარგულად, „მახარას ქვაბში“ გარდავარდნილად და ერთ-ხმივ გამოარიცხა თავის ანგარიშებიდამ... ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენი ამორჩეული კაცები არ ჩაჯიბავდნენ ამ ფულს! იყოს ნდობა ჩვენი იმათზე და ეს ათასი მანეთი იმათ ჭირის სანაცვლოდ შეგვეწიროს! დიახ, ეხლა აქ ამ ათას მანათზე-კი აღარა ლაპარაკობენ, არამედ ოთხასს და რამდენსამე მანეთზე, რომელიც, როგორც ქალაქის საბჭოს რევიზიის კომმისიამ აღმოაჩინა, 1883 წ. ანგარიშში ქალაქის გამგეობას არ უჩანს,—ერთის სიტყვით, კომისიამ წარუდგინა საბჭოს, რომ იმ 1883 წ. დაფასებითის გარდასახადიდამ, რომელიც ამ წლიდამ მთელ ხუთის წლის განმავლობაში უნდა შემოსულიყო და რომლის აკრებად გამგეობას სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა მოხელეები ჰყავდა, თავადაც ახდევინებდა და პოლიციაც ჰკრებდა, წიგნებიდამ დაკარგულად ჩანს ოთხასი და რამდენიმე მანეთიო; ვერ ვაპოვნეთ, ვინ ვის გადაახდევინა ეს ფული ან ვინ სად წარადგინა და სად უნდა დაკარგულიყოო.

ამ მოხსენების მოსმენის შემდეგ შეიქნა საბჭოში ერთი ვაი-ვაგლახი—„დავიღუპენით, შეუჭამიათ ქალაქის ხაზინა! ვინ ხართ პატრონი, გვიშველეთო!!“ და სხვა ამისთანები. წარმოიდგინეთ, რომ აქ საბჭოში ამას გაიძახიან ისინი, ვინც იქ—ბანკში აწაპნული ათასი მანეთი უგზო-უკვლოდ დაკარგულად იცნეს და

---

ისიც-კი უნდა თქვას კაცმა, რომ ბევრში დახანებაც კარგია, მოცდა და სიფრთხილე არას გააფუჭებს, არას წახდენს. აი, მაგალითად, ვითომ რა წაგვიხდინა იმ გარემოებამ, რომ დღემდის დასავლეთ საქართველოს არა ჰქონდა საკუთარი სემინარია? მაგდენი არაფერი... მხოლოდ ეს-კი იყო, რომ იქაური სამღვდელოება ვერ ახერხებდა შვილების გამოზრდას ერთად-ერთს ტფილისის სემინარიაში. რადგანაც უმიზეზოდ არა იქნება-რა ქვეყანაზე, ამიტომ ამ გარემოებასაც თავისი მიზეზი ჰქონდა. იქნება როდისმე მოვიცალოთ და ეს მიზეზები წარმოუდგინოთ ჩვენს მკითხველებსა.

ჩაგონება ხალხისა, ქრისტეს მოძღვრების განმარტება, ქრისტიანობის უმაღლეს ჭეშმარიტებათა გატარება ცხოვრებაში, წმიდა მამათა ნათლით-მოსილ ცხოვრებასთან გაცნობა,—ყოველივე ეს დავიწყებულ საგნად გარდაიქცა,

მხოლოდ თითო-ოროლა ადამიანი ჰგრძნობდა, რომ ასეთი მდგომარეობა მამა მწყემსთა დაავიწყებს ხალხსა ქრისტიანობის საფუძველს, იმის მცნებათა ძალასა. იმათის აზრით, სამღვდელოება უნდა აღიჭურვოს ჯეროვან სწავლა-განათლებით, რომ შესძლოს ნამდვილი მწყემსობა და გაუწიოს ღირსეული მოძღვრება ხალხსაო. ამიტომ საჭიროა სემინარიის დაარსება ქუთაისში, რომ ყმაწვილებმა ჯერ ისწავლონ თვითონა და მერე სხვებსაც ასწავლონო.

ეს ისეთი მარტივი და უბრალო აზრია, რომ სათქმელადაც არა ღირს. თუ კაცი იტყვის რასმე, ისეთი უნდა თქვას, რომ უცებ ვერც-კი მიუხვდეს მსმენელი... მე დარწმუნებული ვარ, რომ აზრის სიმარტივე უფრო იყო მიზეზი სემინარიის უქონლობისა დასავლეთ საქართველოში, ვიდრე სხვა რომელიმე გარემოება.

მაგრამ ჩვენთვის ხომ სულ ერთია, რამ შეუშალა ხელი სემინარიის დაარსებას ქუთაისში. ეს-კი მტკიცედ ვიცით, რომ იმით საქმე არა წამხდარა-რა. ეხლა იმასაც გვეუბნებიან, რომ სემინარიის საქმე მოკლე ხანებში გადასწყდება ქუთაისის სასარგებლოდაო. ძალიან კარგი და ჩინებული. ჩვენც ეს გვინდა, რომ გადასწყდეს. მადლობისა და კმაყოფილების მეტი რა შეგვშვენის. ოღონდ, ისევ დაიგვიანოს საქმემ, ვიდრე სრულებით არ შესრულდესო, იტყვიან ხოლმე ჭკვიანი კაცები.

**

ეგ დიდად მართალია, მაგრამ არც ის არის ჭორი, რომ

რაც გაუვლია დრო-ხანთა,
ვერ მოეწევი რბენითა.

ეს არის ძნელი და ამაზე ყველანიც დამეთანხმებიან ბ.ნ ფორკატის გარდა. იმას რომ ჰკითხოთ, ძნელი არა არის-რა ქვეყანაზე სისულელის გარდაო, გეტყვით ეს მხნე კაცი.

ჩვენ შეგვიძლიან დავეთანხმოთ, შეგვიძლიან სათუოდ გავხადოთ იმისი სიტყვები. მაგრამ ის-კი აშკარაა, რომ რასაც ბ-ნი ფორკატი სისულელეს ეძახის, იმას ვერავინ ჭკვიანობას ვერ დაუძახებს. იქნება ბევრმა არ იცოდეს, ვინ არის ბ-ნი ფორკატი და ან რა მიაჩნია სისულელედ. ბ-ნმა ფორკატიმ შეადგინა რუსული დრამატიული დასი, აიღო ქართული თეატრი და ეს მეორე კვირაა წარმოდგენებს ჰმართავს ტფილისში. მერე უნდა იცოდეთ, ან რა წარმოდგენებსა ჰმართავს, ან როგორი არტისტები ჰყავს, ან თვით რა ნიჭიერებითა თამაშობს. ჩვენი დრამატიული საქმე რომ იმ სიმაღლეზედ იდგეს, რა სიმაღლეზედაც დღეს რუსული დგას, ქართულ ცხოვრებიდამ რომ ისეთი პიესები გვქონდეს, როგორიც რუსებსა აქვთ, და ისეთი მოთამაშენი, როგორიც, ვთქვათ, მშვენიერი არტისტი პაელოვის ქალია, ანუ თვით საუცხოვო ფორკატი, ზავადსკი, ვოლხოვსკაია და სხვანი, ჰო, ქართული სცენა რომ იმ სიმაღლეზედ იდგეს, თითქმის მუდამ დღე თამაშობდნენ თეატრში და ხალხი-კი არ დაიარებოდეს საცქერლად,—სწორედ ჯვარს ვაცმევდით ერთმანერთს და უცხონი ხომ თავზედ ლაფს დაგვასხამდნენ. რაც შეეხება სცენის მოთავეთა, ისინი სულ ერთიან თავებს დაიხოცავდნენ და დასწყევლიდნენ იმ დღესა, როდესაც თეატრს მოჰკიდეს ხელი.

უყურეთ ახლა ბ-ნ ფორკატის. ის იძახის, რომ ყველაზე ძნელი სისულელეაო,—რაკი კაცმა ერთი მოიგდებინა თავიდამ ეს საშინელი სენი, მერე იმისი კოჭი ალჩუ დაჯდება და აღარა უშავს-რაო. სისულელეს მოვერევით მხოლოდ ჭკვიანობითა და იმედიცა მაქვს, რომ დავძლევ საზოგადოების უაზრო გულ-გრილობასაო. ვნახოთ, დასძლევს თუ არა, და მანამდის-კი ჩვენა ვხედავთ, რომ თუმცა რამდენიმე კაცის მეტი არავინ დაიარება თეატრში, თუმცა ბ-ნ ფორკატის დღეში 300 მანათამდის ხარჯი აქვს, მაგრამ მაინც არა ჰკარგავს მხნეობასა და მუდამ დღე საუცხოვო წარმოდგენებსა ჰმართავს და არტისტი ქალები თუ კაცები თანდისთან უფრო უკეთესის ნიჭიერებითა, ხელოვნებით და სიტურფითა თამაშობენ. მართლაც-და გაჯიუტებულ სისულელეს მეტი რაღა გზა ექნება, რომ არ მიჰმართოს თეატრსა და იმით არ დაიტკბოს თავისი უგემური ცხოვრება.

**

ვთქვათ, რუსულ თეატრში ხალხი არ დაიარება იმიტომ, რომ საზოგადოდ რუსის კაცს ერთი საკვირველი თვისება სჭირს—სხვისას უფრო ეტანება, ვიდრე თავისასა, სხვისა უფრო მოსწონს და ცდილობს გაითვისოს და ამის მიზეზით არ დაიარება რუსულ თეატრში. ამ ქართულსა და სომხის საზოგადოებას რაღა დაემართათ, ისინი მაინც რატომ არ დაიარებიან თეატრში...

სრულებით სხვა ყოფაშია ბ-ნ ფიურერის ცირკი. მუდამ გაჭედილია ხალხითა. დაიარებიან რუსნიც, ქართველნიც და სომეხნიც. საკვირველია, თქვენმა მზემ. ცირკი, რაც უნდა კარგი იყოს, მაინც ცირკია. იქ მარტო თვალის გასართობს თუ ნახავს ადამიანი. ძალიანაც რომ კაი სანახავი იყოს მასხარათა სასაცილობა ანუ ჯამბაზთა ცეკვა-ხტუნვა, მაინც თვალის მეტს არც ერთს სხვა გრძნობას არა მოხვდება-რა.

თვალის გარდა, როგორც მოგეხსენებათ, კაცს უნდა ჰქონდეს ჭკუაცა, გულიცა და სულიც. ამათ მასალას ასე უხვად იძლევა თეატრი, მაგრამ მაინც არავინ ეტანება. ბ-ნი ფიურერი-კი ჰბეჭდავს აფიშებსა და იწვევს ხალხს. ესეც მიიკლავს თავსა. ან როგორ არ უნდა წავიდეს, როდესაც აფიშაზე გამოჭიმული შეხვდება თუნდა ასეთი ლექსი, რომელიც ჩვენ შეუცვლელად და შეუსწორებლივ მოგვყავს:

ორი ჰამსონი

მოდი ვნახოთ მაქსის ბენეფისია.
პატივი ვცეთ თავის საკადრისია.
მისი ხუმრობა მისი მოქმედობანი.
გასართობი ყველასთვის სახალხისია.

—

ბიჭო ნეტარ რავებს ამბობ რავებსა.
რათ ვიწუხებთ მაგაზედა თავებსა.
რა სჯობია იმ წითელ ხუნჯსა.
ის დავლიოთ გულსა გავიხარებსა.

—

აჰ სულელო მოვესწრობით ღოთობას.
ჯერ ვუყუროთ მაქსის თამაშობას.
მერე გინდა დავლიოთ და გადავკრათ.
მან მიჰქაროს ვინც რო გაუშვას ქვებს.

—

მოდით მოდით მაქსის ბენეფისია.
დამერწმუნეთ პატივცემის ღირსია.

—

ამის შემდეგ რაც გინდათ, ის იფიქრეთ ტფილისის საზოგადოებაზედ, მაგრამ ჩვენ-კი გვგონია, რომ ჯერ აღრეული იქნება რაიმე დაბოლოვებული აზრი და გარდაწყვეტილი იმედი. მერმისი გვაჩვენებს ყოველსავე.

სანო

ანგარიშიდგან გამორიცხეს, ხოლო განსაკუთრებით თავ-გამოდებულნი არიან, გამგეობის საქმეში სასისხლ-სამართლოდ რამ გამოსხვრიკონ ხსენებულის ბანკის თავ-მჯდომარე—მმართველი თ. თ., იმ ბანკისვე რჩევის ადრინდელი თავ-მჯდომარე, ბ-ნი ბ., რომლის დროსაც მგონი დაიკარგა ის ათასი მანეთი და კიდევ იმ ბანკისავე წევრი, ბ-ნი მ... რა მანქანებმა შეაერთა ეს სამი საპატიო კაცი ამ საქმეში, ეს ღმერთმა უწყის!

იმას-კი ნუ იფიქრებთ, ვითომ ვამბობდე, რომ რადგან ბანკში ამდენი ფული დაიკარგა და საზოგადოებამ არაფერი სთქვა, არაფერი უნდა ითქვას გამგეობაში ოთხასის მანეთის დაკარგვაზე-თქო, პირიქით, ის უნდა მეთქვა, რომ, როგორც იქ, ისე აქაც მმართველები ღირსნი არიან საყვედურისა უყურადღებობისათვის. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ როცა ადამიანებს ვირჩევთ ჩვენის საქმეების საწარმოებლად, ნდობაც უნდა გვქონდეს იმათი. ნუ თუ მართლა მსაჯულთათვის—და ამ შემთხვევაში საბჭოსათვის, საჭირო არ არის იმ გარემოებათა აწონვა, რომელთაც რომელიმე შემთხვევა გამოუწვევია... მაგრამ მე ვინ მკითხავს ან ამას, ან გამგეობის გამოსარჩლებას... დიაჰ, არავინ მკითხავს, მაგრამ მე-კი მინდა ვიკითხო და მსურს მივმართო ამ საკითხავით ბ-ნს თ—ს: წარმოიდგინეთ, რომ მე ვმსახურობ რომელსამე ბანკში, ბანკის მმართველობას დიდი ნდობა აქვს ჩემზე და, სხვათა შორის, ერთს დღეს მაძლევს რამდენსამე ათას მანეთს ფოსტით გასაგზავნად. ხომ მოგეხსენებათ, ბანკიდამ ფოსტამდე რა მანძილია—სულ რამდენიმე ათი საჟენი!.. მეც მიმაქვს ფული, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი უბედურება... ჯიბე აგი გახვრეტილი მქონია და გზაში რამდენიმე ათასი მანეთი გაჯიბულა... ე. ი. გასულა ჯიბიდამ... გაფანტულა გზაში!—მე გავაბი ყვირილი და მოგმართეთ თქვენ, როგორც, ვთქვათ, მმართველს ბანკისას, და შემოგჩივლეთ ჩემი გაჭირება, გაგიტყდით ყველაფერში. დარწმუნებული ვარ, თქვენ მიიღებთ მხედველობაში, რომ ამ შემთხვევაში მეკი არა, ჩემი გახვრეტილი ჯიბე ყოფილა დანაშაული და ბოროტ-მოქმედებას არ დამწამებთ, და სხვა...

აქ, ამ შემთხვევაში, უეჭველია, ასე მოიქცევით, მაგრამ იქ, ქალაქის გამგეობაში... ქალაქის გამგეობის წევრები... სულ სხვანი არიან... იმათ შეუძლიანთ სასისხლ-სამართლო ბოროტ-მოქმედება ჩაიდინონ და კიდევ მადლობა ღმერთს,—ამბობთ თქვენ, რომ მარტო ეს 400 მანეთი ჩაუჯიბავთ და არა ათი ათასი მანეთიო.

რისთვის არის ეხლა ყოველივე ესე საჭირო? იმისთვის, რომ ძველს გამგეობას რამე ჭუჭყი მოსდონ, თუ მოხერხდა, სისხლის სამართალშიაც მისცენ, და დაიცალოს ამ ნაირად ვაკანსიები იმისთანა კანდიდატებისათვის, რომლებიც ჩვენ გვსურს... კარგი ანგარიშებია, თუმც-კი ცუდად გამოანგარიშებულია...

მაგრამ თქვენ არ იცით, სად მოუძებნოთ წუნი თქვენს დღევანდელს გამგეობას და ნება მომეცით იმ წუნზე მიგითითოთ ხელი და აგიხილოთ თვალი...

ერთი მეკენჭეთაგანი

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზ. «С.-Пет. Вѣд.»-ში იბეჭდება ფრიად საინტერესო წერილები ვიღაც პავლოვსკისა რუსეთის ერთს სახელოვანს მწერალზე, სახელდობრ, ი. ტურგენევზე.

ტურგენევს ძალიან უყვარდაო, ამბობს ავტორი,—ახალგაზდა მწერლების ნაწერების კითხვა და ძალიან უხაროდა, როცა რომელსამე მათგანს ნიჭს შეაჩნევდაო.

ახალგაზდა მწერლებსაო, ხშირად ამბობდა ტურგენევი, ნიჭი ეტყობათ, დაკვირვება უნარიცა აქვთ, თავისებურობაც ემჩნევათ, მაგრამ უბედურება იმათი ის არის, რომ ენა არ უვარგათ სრულიად.

ახალგაზდები ყურადღებას არ აქცევენ თავიანთ ნაწერების გარეგნობას. ისკი არ იციან, რომ უდიდესი გენიოსიც რომ იყოს კაცი, იმისი ნაწერი და ნამოქმედარიც-კი ერთს დღესაც ვერ იცოცხლებს, თუ გარეგანი სახე, ფორმა არა აქვს კარგი, მშვენიერი,—დიაღ, მშვენიერი. მართლაც ასეა. რა საჭიროა კარგი ფარჩა, თუ ამ ფარჩის ტანისამოსი უშნოდა და ულაზათოდ არის შეკერილი.

რა არის ამის მიზეზი? უფრო არ-ცოდნა, მოუხერხებლობა ახალგაზდა მწერლებისა, თუ უფრო უყურადღებობა? ტურგენევის აზრით, მიზეზი უფრო ის არის,

რომ ახალგაზდა მწერალნი დარწმუნებულნი არიან, ვითომ გარეგნობა, გარეგანი სახე ქმნილებისა ყურადღების ღირსი არ არის; ის მწერალნიცა, ვისგანაც ახალგაზდებს შეუძლიანთ ისწავლონ რამე ამ მხრივ, უყურადღებოდ არიან დატოვებულნი. ჩვენ დროს ყველა მწერალი პუშკინსა სთვლიდა თავის მასწავლებლად და ზეპირადაც იცოდა იმისი ნაწერები. ეხლა ვილა უყურებს პუშკინს? ავიღოთ გონჩაროვი, რომელიც ჩვენის დროის მწერალია. მართალია, დიდი სიბრძნე და ღრმა აზრი არ არის იმის ნაწერებში, მაგრამ სამაგიეროდ ენა, კილო მშვენივრებაა. ახალგაზდებს პირველ საქმედ აზრი, იდეა მიაჩნიათ. აქედამ ის გამოდის, რომ მკითხველები არ ეტანებიან იმათ ნაწერებს, მოსაწყენ საქმედ სთვლიან იმათ თხზულებათა კითხვას. აი ეს გარემოება ჰღუპავს ახალგაზდა მწერლებსაც და იმათ იდეებსაც.

ახალგაზდები უფრო გლებ უსპენსკის მისდევენო. უსპენსკის მართალია დიდი ნიჭი აქვს მიმადლებული, მაგრამ იმისი მწერლობა ხელოვანებაა? ჯერ ამბავს რასმე მოგვითხრობს და მერე ამ აზრის განსამარტებლად ოთხსა და ხუთს თაბახს დასწერს კიდევ. მე მგონია, რომ თუ ამბავი გვიამბე, ესეც საკმარისია. მკითხველმა დანარჩენი დეე თავად შეიგნოს და შეიგნებს კიდეცაო.

ერთს ახალგაზდა პოეტს შეეჩივლა ტურგენევისათვის, რომ რაც დასაწერი იყო, დიდმა პოეტებმა დასწერეს და გაათავეს კიდეცა, ეხლანდელებს აღარა დარჩენიათ-რაო.

არა, მაგას როგორ ამბობთო, უთხრა თურმე გაჯავრებით ტურგენევმა პოეტს. ნუ თუ გგონიათ, რომ ყველაფერი დასწერა ბალზაკმა და შექსპირმა? დასაწერი და ასაწერი მუდამ არის, მუდამ უკვდავია, ისე, როგორც მუდამ არსებობს, მუდამ უკვდავია სული კაცობრიობისა. მხოლოდ ფორმა, გარეგანი სახე იცვლება და პოეტის გენიოსობაც ის არის, რომ ეს ცვლილება ფორმისა გამოჰხატოს. ჰომიროსმა ასწერა ომი, მაგრამ განა რას ჰკარგავს ამითი თხზულება ტოლსტოისა „Война и Миръ?“ შექსპირმა დასწერა „ჰამლეტი“, მაგრამ განა ვინ გვიშლის ჩვენ, რომ ეხლანდელი, ჩვენებური ჰამლეტები ავწეროთ. ერთი ჰამლეტი სულ სხვა ვითარებაშია დაბადებული და აღზრდილი, მეორე—სხვაში და აი ყველამ უნდა ასწეროს ეს განსხვავებული ვითარება და დაასკვნას თავისი აზრი. ცხოვრება განუსაზღვრელს სხვა-და-სხვაობას წარმოადგენს. თითოეული დღე სულ ახალსა და ახალს ფორმებსა ჰქმნის. სახელი და დიდება იმ პოეტს, რომელიც იპოვის ამ ახალს ფორმებს ცხოვრებისას.

ყოველსავე ამას სწერს პირველ ხარისხოვანი პოეტი, ნიჭიერი მწერალი რომანებისა და მოთხრობებისა, ხელოვანი მხატვარი ცხოვრებისა და ამით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ამისთანა მწერალის ლაპარაკს პოეზიასა და ხელოვნებაზე, სიტყვა-კაზმულ მწერლობასა და პოეტურ შემოქმედობაზე.

### წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

თქვენს გაზეთში წავიკითხე, ვითომც მოსკოვის მართებლობას არ მიეცეს ნება-რთვა ჩემის კოლექციის გამოფენისა და ვითომც რაღაც კომისიისათვის მიენდოს, გადაესინჯათ ჩემი ნივთები.

რადგან ზემოხსენებული ამბავი შეცდომით უცნობებიათ რედაქციისათვის, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ ჭეშმარიტების აღსადგენად მისცეთ ადგილი თქვენს გაზეთში ამ ჩემს მოკლე შენიშვნასა.

სარატოვიდგან მოვედი მოსკოვში და ერთს კვირაზე მეტი ვეძებდი სახლსა მუზეუმისათვის; დავიქირავე სოლოდოვნიკოვის პასაჟში, საუკეთესო ალაგასა. ნოემბრის 2-ს მივართვი თხოვნა ნება-დართვისა მათს ბრწყინვალებას მოსკოვის გენერალ-გუბერნატორს. ჩემს თხოვნაში შეუწყნარებელი, დამაბრკოლებელი და უკანონო არა აღმოჩნდა რა და ნოემბრისავე 23-ს მივიღე ნება-რთვა. მას აქეთ გამართულია ჩემი მუზეუმი მოსკოვში.

დიდის თოვლისა და ქარიშხალისა გამო ხალხი ცოტა დაიარება. უფრო მოდიან ნასწავლნი, პროფესორები, სტუდენტები და სხვანი, რომელთაც იცნეს ჩემი კოლექცია ღირს-შესანიშნავად. გუშინ გრაფის უვაროვის მეუღლე მობძანდა ჩემს მუზეუმში და დიდად მოიწონა ზოგიერთი ნივთები. არც აქაურმა გაზეთებმა დასტოვეს უყურადღებოდ ჩემი კოლექცია და დიდის ქებით მოიხსენიეს თავიანთ გაზეთებში.

მომავალ წლის თხუთმეტ იანვარს გადავიტან მუზეუმს პეტერბურგში და იქაც ვეცდები გამოვფინო.

დიდად ვმადლობ „ივერიის“ რედაქციას, რომ ჩემი მოგზაურობა დაუწნახავს საყურადღებოდ. შემდეგ ვეცდები უფრო დაწვრილებით გადმოგცეთ ხოლმე მიმდინარეობა და საყურადღებო შემთხვევანი ჩემის მოგზაურობისა.

ფოტოგრაფი როინაშვილი

ქ. მოსკოვი
16 დეკემბერი

# წვრილი ამბები

— სახელგანთქმული საბავშვო საზოგადოება დაუარსებიათ ამას წინად ქალაქ უფსალაში. ვისაც ამ საზოგადოების წევრობა სურს, 4 კაპეიკი შეიტანოს საწევრო ფული და სხვა აღარა უნდა-რა. ამ საზოგადოებისათვის თავისი შესაფერი სახელიც დაურქმევიათ—„tiopennis förering“-ა. საზოგადოებას აზრად ისა აქვს, რომ თავის ხარჯით აღზარდოს სასწავლებლებში ლაპლანდიის მკვიდრთა ღარიბი ყმაწვილები.

— ნიუ-იორკის გაზეთებში შემდეგი ამბავია მოთხრობილი: ერთმა დიდმა ფირმამ მამაკაცთა და ყმაწვილთა შეკერილ ტანისამოსებისამ ერთს მშვენიერს დღეს გამოაცხადა, რომ 1,000 პალტოს ვყიდი ყმაწვილებისათვის 50—60 კაპიკად თითოსაო. მეორე ფირმას ტანისამოსებისავე პირველის ჯიბრით გამოუქვეყნებია: 1,000 ღარიბს ყმაწვილს 50—60 კაპიკს დავურიგებ თითოს, თუ პალტოებს იყიდიან ამ ფასად ჩემის მეზობლისაგანა, რომლის მიერ უკვე გამოცხადებული იყო, რომ ამ ფასად ვყიდი ყმაწვილების პალტოებს ღარიბებისათვისაო. ორივე ფირმას თავისი სიტყვა შეუსრულებიათ და ეხლა ქალაქს ნიუ-იორკში დარბის თურმე 1,000 პატარა ბიჭი, რომელთაც თბილი პალტოები აცვიათ და რომელთა პალტოები ერთი ორჯერ მეტად ღირს იმ ფასზედ, რა ფასადაც ნაყიდია.

— იმას თაობაზედ, თუ რა მარჯვე და წესიერი ფოსტაა შვეციასა და ნორვეგიაში, აი რასა სწერს შვეციის გაზეთი „Tvelestrands - Posten“-ი: ქ. ტველესტრანდში მოვიდა სტოკჰოლმიდგან წერილი შემდეგის ადრესით: „გარდაეცით მეთევზეს, რომელსაც მწვანე ნავი აქვს. ამ მეთევზემ ამას წინად ახალი ბურღო იყიდა ერთის გემის პატრონისაგან. ტველესტრანდი. ნორვეგია.“ ეს წერილი მეთევზეს საკუთარს ხელში გარდაეცა თურმე.

— რა საჩუქრებს არ მოიგონებენ ახირებული ამერიკელები! მაგალითებრ, ცნობილ Walhalla—Theater-ის მომღერალ ქალისათვის, რომელიც ამერიკაში იყო მიპატიჟებული, ერთს თაყვანისმცემელს საჩუქრად გაუგზავნია... ერთი წყვილი მშვენიერი ნიანგი. მომღერალს ქალს შინდი თავე უტარებია ეს ნიანგები თანა და ამას წინად-კი ბერლინის აკვარიუმისათვის გაუგზავნია კრაკოვიდგან ფოსტით.

— ბერლინში გამოსულა წიგნაკი გერმანელ ფელეტონების მწერალის ოტტონ ფონ-ლეიკსნერისა, რომელსაც სათაურად აწერია: სახელმძღვანელო იმისათვის, ვისაც უნდა 60 წუთში ჭკუა-მახვილი კაცი შეიქმნასო.

— ამ უკანასკნელად ბარნუმის სამხეცე რომ დაიწვა, სხვათა შორის შიგ დამწვარა სპილო ბლისა. როცა გაუჭრიათ ეს სპილო, მუცელში სამასი ცალი შავი ფული, კალმის დანა, რეზინის კალოში და დიდ-პატარა ქვები უპოვნიათ.

— თუმცა ბულანჟეს სახელი ამბოლო დროს ისე რიგად აღარ ისმის, მაინც პარიჟში თითქმის ყოველ დღე გამოდის წიგნაკები ბულანჟეს შესახებ, სურათები, სამუსიკო ნაწარმოებნი და სხ. ამ დღეებში, მაგალითებრ, გამოუციათ განსაკუთრებით ბულანჟეს კალენდარი „Almanach du Géneral Boulanger“-ი, რომელშიაც კალენდარულ ცნობათა გარდა მოთავსებულია ისტორიული ამბები და მოთხრობანი ბულანჟეს ცხოვრებიდგან ალფრედ პარისა, შარლ მორელისა, სურჟანისა, ჟორჟე და ჟანიოს მიერ ნახატ ბულანჟეს სურათებით. კალენდარი გამოუციათ ბულანჟეს მომხრეთ: ა. მილლოს, ბ-ნს ლავედანს და ბ-ნს დე-ლინას. თუმცა კალენდარი მშვენივრად არის გამოცემული, სულ მცირე ფასი ადევს თურმე—25 კაპიკი და ვინც 100 ეგზემპლიარს იყიდის, 60 ეგზემპლიარს ისე აძლევენ, მუქთად დასარიგებლად.

# გასართობი

თითქმის არ მოიპოვება არც ერთი ისეთი გამოჩენილი, ისტორიაში დიდის ასოებით აღნიშნული კაცი, რომელზედაც საარაკო ამბავს რასმე არ მოუთხრობდნენ ადამიანს გაზეთები. ეს საარაკო ამბავი ხშირად მასალადაც გამოადგებათ ხოლმე მწერლებსა და უშველებელს თხზულებებს შეჰხანწლავენ ხოლმე. აი ერთს ამისთანა საარაკო ამბავს საფრანგეთის ერთი გაზეთი გვიამბობს.

გერმანიის მოხუცებული იმპერატორი როცა ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზდა ყმაწვილ-კაცი ყოფილა, მისულა ერთ მკითხავთან—„გულთ-მისანთან“ და უთხოვნია, რომ ჩემის ბედისა მიამბე-მიკითხე რამეო. მკითხავს უთქვამს, რომ დიდის მიწა-წყლის მფლობელი და მბრძანებელი შეიქმნები, თხმოც-და-თორმეტს წელიწადს იცოცხლებ და, დასასრულ, შენს მემკვიდრედ იქმნება წევრი სამეფო გვარეულობისა, ცალ-ხელაო.

თუ მოვიგონებთ იმ დროს, როცა იმპერატორი ვილჰელმი გამეფდა (ვილჰელმი ტახტზედ ავიდა 1861 წელს, შემდეგ თავის ძმის ფრიდრიხ-ვილჰელმ მე-IV-ის გარდაცვალებისა, რომელიც უშვილო იყო), გავიხსენებთ, რამდენი ქვეყნები დაიპყრო, გერმანია გააერთა და აგრეთვე იმასაც არ დავივიწყებთ, რომ მემკვიდრე პრინცი გერმანიისა უიმედო მდგომარეობაშია და თუ უბედურება აუტყდა რამე, მემკვიდრედ პრინცი ვილჰელმი უნდა გახდეს, შვილი ეხლანდელის მემკვიდრე პრინცისა, ცალ-ხელა, დავრწმუნდებით, რომ ზემოდ მოყვანილ მკითხავის ნათქვამიდგან ზოგიერთი რამ გამართლებულა და ზოგიც კიდევ გამართლებას აპირებს.

კოდელ ნინო „ფას“ იმ მკითხავთან!

⁂

მკითხავზედ ჩამოვარდა ბაასი და კარგს იზამდნენ, რომ ტულის (საფრანგეთშია) მოსამართლეებსაც მკითხავი მიეწვიათ და ისე გადაეწყვიტათ კორსეტის საქმე.

ერთის კორსეტის ფაბრიკის პატრონს საჩივარი შეუტანია ერთს ქალზე, რომ ჩემგან კორსეტი იყიდა და აქამდე ფულს არ იხდისო. ქალს უარი უთქვამს, უკანვე წაიღოს თავისი კორსეტი, რადგანაც წელზედ არ მადგებაო. რადგან მოჩივარნი ვერაფრით დაუწყნარებიათ და არც კორსეტი ყოფილა წარდგენილი სასამართლოში, პატივცემულს წარმომადგენელს მართლ-მსაჯულებისას შემდეგი განაჩენი დაუდგენია: „რადგან საქმე იმაზეა დამოკიდებული, რომ ადგება თუ არა ქალს კორსეტი წელზედ; ამასთან კორსეტი უნდა წარმოედგინათ სასამართლოში და არ წარმოადგინეს, და თუნდა წარმოედგინათ კიდეც, უნდა ჩვენის თვალით გვენახა ქალის წელზედ კორსეტი, და რომ გვენახა კიდეც, შესაფერი ცოდნა უნდა გვქონოდა იმის გასარჩევად, ცუდად ადგას თუ კარგად ქალს კორსეტიო, და ამის ცოდნა-კი რადგან არ მოგვეპოვება, ვალდებულნი ვართ ამ შემთხვევაში დავადგინოთ შემდეგი: ნება მიგვიცია მოჩივართათვის, როგორმე მორიგდნენ ერთმანერთშიო“.

# დეპეშა

22 დეკემბერი

პეტერბურგი. ტამბოვის ვიცე-გუბერნატორი ბულგინი დანიშნულ იქმნა კალუგის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლად.

„Journal de St.-Pétersbourg“-ი ამბობს: ყალბის ქაღალდების დაბეჭდვამა და გამოცხადებამ ძლივს ნათელი მოჰფინა იმ ინციდენტს, რომელმაც აღელვა საზოგადოების აზრი ევროპაში. ამის გამო მხოლოდ სიხარული გვმართებს. მართალია ისიც, რომ სხვა ღონეც არსებობს ურთიერთ შორის მიუნდობლობის მოსასპობად, რადგან ამ მიუნდობლობას ჰკვებავს და ასაზრდოვებს ეჭვები, რომელიც საქმის უცოდინარობით იბადება. ეხლა ინციდენტი გაჰქრა და მაშასადამე ცილის-მწამებელით, რომელთაც სურდათ საერთა-შორისო აყალმაყალი, ეს ერთი საღაპარაკო მაინც აღარ ექმნებათ; ყო-

ველ შემთხვევაში საკმაო გულ მართლობად არ არის მისაღები ის გულ მართლობა, რომლითაც წინააღმდეგობა გაუწიეს ამ მიუნდობლობას და არც ის კანონიერებაა საკმაო კანონიერებად მისაჩნევი, რომლითაც სცდილობდნენ გაერკვიათ და მოესპოთ იგი მიუნდობლობა დიდთა სახელმწიფოთა შორის.

ბერლინი. იმის გამო, რომ გოტის კალენდარში მოხსენებულია პრინცი ფერდინანდ კობურგისა როგორც ბოლგარიის მთავარი უმაღლესობის კოროლის ღირსებით, „იმპერიის მაჩვენებელი“ აცხადებს, რომ ჯერ ერთი, ბერლინის ხელ-შეკრულობის ძალით, პრინცი კობურგისა ბოლგარიის მთავრად არ არის ცნობილი და მეორეც ისა, რომ პრინც კობურგისას არა აქვს უფლება ზემოხსენებულს ღირსებაზე არც ვითარცა პრინცსა და არც ვითარცა მთავარს ბოლგარიისას, რომელსაც, კონსტიტუციის ძალით, ბრწყინვალების ღირსება აქვს მინიჭებული.

რომი. კვირა დღეს პაპიმ თავის ორმოცდაათის წლის იუბილეის გამო პარაკლისი გადაიხადა წმ. პეტრეს სობოროში და ხალხი აკურთხა.

ბელგრადი. ახალი სამინისტრო წარსდგა წინაშე სკუპშჩინისა. აქ იმ აზრისანი არიან, რომ დიდხანს არ იცოცხლებს ეს სამინისტრო. სკუპშჩინამ გადასწყვიტა, რომ 20 მილიონი ვისესხოთო და დაიშალა 17 იანვრამდე.

ვენა. აქ ამბობენ, რომ ევროპის სახელმწიფოთა განწყობილება უფრო განკარგდაო და მოლოდინი აქვთ, რომ ოფიციოზურადაც იქმნება ეს განწყობილების განკარგება გამოცხადებულიო.

ბუქარესტი. ოფიციოზური გაზ. „ეტუალე რუმანიე“ უარ-ჰყოფს იმ გავრცელებულს ხმას, ვითომ რუმინიამ და ავსტრიამ ერთმანეთში საგერი და საჭევი კავშირი შეჰკრესო.

ვენა. გაზ. „Fremdenblatt“-ი ლაპარაკობს ტისსას მიერ წარმოთქმულ სიტყვაზედ და აცხადებს, რომ ავსტრია თავის მხრივ ომს არ ასტეხავსო; ავსტრია ხანგრძლივსა და მტკიცე მშვიდობიანობას არის მოწადინებული და უნდა დაიცვას თავისი დიდება და იმპერიის ინტერესებიო. ოფიციალურ წრეებში უმეტესობა მშვიდობიანობას არის მოწადინებული.

21 დეკემბერი

პეტერბურგი. უმაღლესად ნაბძანებია ბათუმში მიხეილის სიმაგრეთა დაერქვას სახელად მიხეილის ციხე.

სამხედრო გუბერნატორი ტურგაის ოლქისა პროცენკო დათხოვნილ იქნა სამსახურიდამ და ჩაირიცხა საგენერალო შტაბის უადგილოთა წევრთა სიაში.

გამოცხადებულია და დაიწყებს მოქმედებას 1 იანვრიდამ 9888 წ. ახალი წესდება შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა ეძლიოდეთ აფიცრებს დამატებითი ჯამაგირი სასურსათო ხარჯისა.

გუშინ მოვიდა პეტერბურგში ჩინეთის ახალი ელჩი, ჩუნ-ცზუნი.

„С.-Петер. Вѣд.“ ამბობს რომ გარდაწყვეტილია მერმისისთვის გაამრავლონ რიცხვი წევრთა ოლქის ბევრს სასამართლოებშიო.

როგორც ისმის, მერმის მოემატება გადასახადი საზღვარ გარეთიდგან შემოტანილ კოსმეტიურ საქონელსა.

პეტერბურგის ბირჟა, 21-ს დეკემბერს.

ფასები:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 9 15 |
| ტამოჟნის კუპონები | — » | — » | 182 3/4 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — » | — » | 1 33 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — » | — » | 275 1/2 |
| — მეორისა | — » | — » | 248 1/2 |
| გირავნობ. ფურცელნი: ტფილისის ბანკისა | — » | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა | — » | — » | — » |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — » | — » | — » |

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ(1887) წელიწადია.

ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

დეკემბერი 31 დღით არის

**24 დღე ხუთშაბათი.** წმ. ქალწ. მოწ. ევგენიასი. კვირაძალი იესო ქრისტეს შობისა. კათოლ. კვირაძალი შობისა. სომეხ. წმ. დავით წინ.-მეტყვ. და წმ. იაკობ მოციქულისა. მუსულ. მე-22 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—44. მთვარე 23 დღისაა.

**25 დღე პარასკევი.** შობა უფლისა იესო ქრისტესი. უქმეა სამი დღე. იანვრის ხუთამდის ოთხშაბათ-პარასკევსაც ხსნილია ხორცითა. კათოლ. შობა იესო ქრისტესი. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-23 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—45. მთვარე 24 დღისაა.

**26 დღე შაბათი.** კრება ყოვლად წმ. ღვთის მშობლისა. კათოლ. წმ. სტეფანე პირველ-მოწამისა; ესევე სომეხთაცა. მუსულ. მე-24 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 13—6. ტფილისში მზე ამოდის 7—30, ჩადის 4—44. მთვარე 25 დღისაა.

**27 დღე კვირა.** წმ. მოც. პირველ-მოწ. სტეფანესი. კათოლ. წმ. მოციქ. და მახარებ. იოანესი. სომეხ. ნახატონაქი. მუსულ. მე-25 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—7. ტფილისში მზე ამოდის 7—30, ჩადის 4—46. მთვარე 26 დღისაა.

**28 დღე ორშაბათი.** წმ. ორთა ბევრთა ნიკოდიმელთა. კათოლ. წმ. მოწ. ყრმათა. სომეხ. წმ. მოციქ. პეტრესი და პავლესი. ნახატონაქი. მუსულ. მე-26 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—7. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—48.

**29 დღე სამშაბათი.** წმ. თოთხმეტ ათას ყრმათა ბეთლემისა. კათოლ. წმ. მოწ. თომასი. სომეხ. წმ. იაკობ. მოციქულის და წმ. იოანე მახარებ. ალების ღამე სომეხთა შობის მარხვისა. მუსულ. მე-27 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—7. ტფილისში მზე ამოდის 7—26, ჩადის 4—49. მთვარე 28 დღისაა.

**30 დღე ოთხშაბათი.** წმ. ქალწ.-მოწ. ანუსიასი და ღირსისა ზოტიქესი. მუსულ. მე-28 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—8. ტფილისში მზე ამოდის 7—26, ჩადის 4—50. მთვარე 29 დღისაა.

**31 დღე ხუთშაბათი.** ღირსისა მელანიასი. კათოლ. წმ. ალმსაარ. პაპა სილვესტრისა. მუსულ. მე-29 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—9. ტფილისში მზე ამოდის 7—26, ჩადის 4—51. მთვარე 30 დღისაა.

გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3 | » |
| » 2 » | 2 1/2 | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | » |
| » » 2— | 3 1/2 | » |
| » » 3 » | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | » |
| მე-2 ხარისხისა | 4 | » |
| მე-3 — | » | » |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | » |
| » 2 » | 6 | » |
| სუკი | 13 | » |
| ძროხის ხორცი | 7 | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | 6 | » |
| » 2 » | 5 | » |

იმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით სამუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვაო გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მისწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მისწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. როგორც კი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო სიდასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, როგორც კი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.


კერძო განცხადებანი

მომავალ დღესასწაულებისათვის იყიდება ნამდვილი კახური ძველი

ღვინოები

თ. დის ილია გრიგორის ძე

ჭავჭავაძისა

და სხვა მემამულეთა იყიდება ნაკლებ ფასად: ბოთლი 15 კ—დგან ვიდრე 1 მ. 50 კ—მდე; აგრეთვე

ნარდად

„ვედრა“ 2 მ—დგან—ვიდრე 12 მ—დე. სარდაფი იმყოფება შუა-ბაზრის თავში, სამკურნალოს ქვეშ, წინამძღვრიშვილის შენობაში.

სოლომონ იოანეს ძე კურდღელოვი (2—1)

КАКАО БЕЗЪ МАСЛА С. СІУ и Ко (50—4)

მიიღება ხელის-მოწერა 1888 წლისათვის ორ-კვირეულ გამოცემათა, ქართულს

„მწყემსზედ“

და რუსულ ПАСТЫРЬ-ზედ.

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეტყობინოს სამღვდელო და საეროწოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესითა სასულიერო და სახოროველთ მართებლობათა, კონსისტორიათა და ღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სარწმუნოებრივ-ზნეობრივი სწავლა და ცნობა საეკლესიო საზოგადოებრივ ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელოთა და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივის კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელოთა და [illegible] [illegible], რომელთაც [illegible] [illegible] მათის მოვალეობის აღსრულებისათვის.

ფასი გაზეთისა:

| | |
|---|---|
| 12 თვით „მწყემსი“ 5 მ. | 6 თვით „მწყემსი“ 3 მ. |
| — ორივე გამოც. 6 მ. | — ორივე გამოცემა 4 მ. |
| — რუსული „ 3 მ. | — რუსული „ 2 მ. |

წერილების გაგზავნა და პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება რედაქციაში, რომელიც იმყოფება დაბა ყვირილაში, რედაქტორის საკუთარს სახლებში და ქუთაისში, რედაქციის სტამბის კანტორაში, ნემეცის ქუჩაზე, ხანანაშვილის სახლებში.

გაზეთის დაბარება შეიძლება ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію **„Мцкемси“** (Пастырь). ყვირილაში „მწყემსი“-ს რედაქციაში.

„წერა-კითხვის“ ბიბლიოთეკაში და ჩარკვიანის მაღაზიაში იყიდება

სამი სხვერპლი

მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა.

ფასი 30 კაპ.

დაიბეჭდა ისტორიული პოემა

თამარიანი

გალექსილი თ. რ. ერისთავის მიერ

ისყიდება გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ფასი 60 კაპ. (10—9)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1888 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. — კ. | 6 თვით | 6 მ. — კ. |
| 11 „ | 9 „ 50 » | 5 „ | 5 „ 25 » |
| 10 „ | 8 „ 75 » | 4 „ | 4 „ 75 » |
| 9 „ | 8 „ — » | 3 „ | 3 „ 5 » |
| 8 „ | 7 „ 25 » | 2 „ | 2 „ 75 » |
| 7 „ | 6 „ 50 » | 1 „ | 1 „ 50 » |

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

*Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.*

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალ იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ზებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.


Доз. цен. Тиф. 23 декабря, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.